


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბატონი ბეჭე-
უძი სიფყავა, ტყუილებით და ჭიბებით ბუბ-
თის გატანა ყველა უჯდრისბობაჲ უსამაგლესია.

შაბათი, 24 დეკემბერი. 2016 წ. №241 (8133), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ბიორგბი კვირიკაშვილი:

სავსე პარ ენტოზიანებით, 2017 წელი კალიან მაგარი წელი იქნება



ბიორგბი მითქვამს და ახლაც ვამბობ, რომ 2017 წელი იქნება ძალიან მაგარი წელი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუდაურში ახალი საბაგროს გახსნაზე განაცხადა. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, 2017 წელი მაგარი წელი იქნება კერძო სექტორისთვის, თითოეული ჩვენი მცხოვრებისთვის. „ეს იქნება ძალიან ბევრი ინვესტიცია, თითოეული ბიზნესმენის უფლებას მაღალ დონეზე დავიცავთ. მე ვარ აბსოლუტურად სავსე ენთუზიაზმით, ოპტიმიზმით. დარწმუნებული ვარ, რომ რასაც ახლა ჩვენ ვაკეთებთ, იქნება კიდევ უფრო დიდი მომავლის ძალიან მნიშვნელოვანი საფუძველი. მაგლობს ვუხდით ყველას, ვინც 24 საათი იშრომა, რათა გუდაურის პროექტი გამხდარიყო რეალობა“...

ლერი საბელოვი

მეორე პაღით ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს



საპარტვილოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ლერი საბელოვი აირჩიეს. საბელოვიმ არჩევნებში 78 ხმა მიიღო, მისმა კონკურენტმა ირაკლი მექმარიაშვილმა კი – 57. არჩევნებში 136 დელეგატი მონაწილეობდა. ლერი საბელოვი ოლიმპიური კომიტეტის მოქმედი პრეზიდენტი და კომიტეტს კიდევ ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. ვულოცავთ!

უზნეობის აქცენტები არ გამოუვიდათ და პარ გაბედეს!



ანა გოჩაშვილი

პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსია



საპარტვილოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსად ანა გოჩაშვილი დანიშნა. ანა გოჩაშვილი ახალ თანამდებობაზე მუშაობას დღეიდან შეუდგა. ამ პოსტზე მან წინ ბერაძე შეცვალა. ანა გოჩაშვილი მანამდე საქართველოს მთავრობის, წინასწარჩვენი პერიოდში კი პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პრესსამსახურში მუშაობდა.

ნაცმოძრაობაში – პარტიის გადატრიალების მსდებლობა



კუტინის იაკონური მოღვაწე – მაგალითი საქართველოსთვის აზნაზნისა და სამხრეთ ოსეთთან ერთად

ელიზბარ მინდელი – და პით ქართულ ზღაპარში ყვე უქალაქიანი...



მეთიუ ბრაიზა:

რუსეთმა შესაძლოა, საქართველოსა და აზერბაიჯანის იზოლირება სცადოს



ენერგონაწარმოების საკითხის გამოყენებით, რუსეთმა შესაძლოა, საქართველოსა და აზერბაიჯანის იზოლირება სცადოს, – აცხადებს აშშ-ის მდივნის მოადგილის ყოფილი თანაშემწე მეთიუ ბრაიზა, რომელიც ამჟამად აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს მკვლევარია. ბრაიზამ ეს განაცხადა „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან ინტერვიუში გააკეთა: „მე ენერგონაწარმოების საკითხზე უფრო ველად, რისი გამოყენებითაც რუსეთმა, შესაძლოა, საქართველოსა და აზერბაიჯანის იზოლირება სცადოს. თურქეთის დინების ნავთობსადადენის მიზანია რუსული გაზის ევროპის კავშირში ჩატანა და აზერბაიჯანში ენერგოსფეროში ინვესტიციების შემცირება. ჩემი აზრით, ეს რუსეთის სტრატეგიის ნაწილია, რომელიც მიზნად საქართველოსა და აზერბაიჯანის რუსეთის უფრო მეტი გავლენის ქვეშ მოქცევას გულისხმობს. არსებობს რისკები, რომ საქართველომ და აზერბაიჯანმა ევროპის კავშირთან მათი კავშირების დაკარგვა დაიწყონ. იმედი მაქვს, ეს არ მოხდება. საქართველო თვითონ ირჩევს თავის მომავალს“, – განაცხადა მეთიუ ბრაიზამ.

როგორ დააპატიმრეს პოსპიტალში ბიორგბი მახარაშვილი...




გარდაიცვალა ვეგანი ჯულაშვილი

თავის დიდი პაპის, გენერალისიმუსის იოსებ სტალინის დაბადების დღეს, 21 დეკემბერს, მოსკოვში 81 წლისა გარდაიცვალა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, თადარიგის პოლკოვნიკი

ვეგანი იაკობის კი ჯულაშვილი

განსვენებულს კრძალავენ კვირას, 25 დეკემბერს, მოსკოვში.

ჩვენი გაზეთის რედაქცია თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად სამიზნად უცხადებს განსვენებულის ოჯახს, სანათესავეს, ჯულაშვილთა გვარს.



„იპაონინისთვის მონინალმდეგი-დან რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორად გადაქცევის შეთავაზებით პუტინმა საქართველოს და მსოფლიოს ტერიტორიული უთანხმოებების მშვიდობიანად მოგვარების უნივერსალური მოდელი შესთავაზა.

მიმავალი წლის მთავარი მოვლენა მ ნოემბერს მოხდა, როცა ამერიკელმა ხალხმა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტად ბიზნესმენი - მილიარდერი დონალდ ტრამპი აირჩია. აირჩია იმის გამოც, რომ ეს უკანასკნელი რუსეთთან მეგობრობას, ომის შეწყვეტას და ვაჭრობის დაწყებას დაჰპირდა. და უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ იყო ამ ფორმულის ავტორი - ტრამპი, პუტინი თუ მდიდრებისა და საზრიანთა მსოფლიო კლუბი... მნიშვნელოვანია შედეგი - მსოფლიო გადარჩა მესამე მსოფლიო ომსა და დოლარის დეფოლტს, სადამდეც აუცილებლად მიგვიყვანდა გამალებული შეიარაღება და სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, რომლებსაც აშშ, ალბათ, გააუქმებს მას შემდეგ, რაც ტრამპი თანამდებობას დაიკავებს.

წარმატებისთვის არიან განწირული ევროპის ის ქვეყნებიც, რომელთა განახლებული პოლიტიკური ელიტები ნებაყოფლობით თუ იძულებით გაჰყვებიან ტრამპის კვალს - იმეგობრებენ რუსეთთან, შეწყვეტენ ომს და დაიწყებენ ვაჭრობას, ანუ მის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს გააუქმებენ, იმიტომ, რომ სადაც ვაჭრობენ, იქ არ ომობენ. თუ ამ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირის ქვეყნები კონსენსუსს ვერ მიაღწევენ, აზრთა სხვადასხვაობა ევროკავშირისა და ნატოს დაუყოვნებლივ დაშლას გამოიწვევს, ვინაიდან ერთსა და იმავე კავშირებში ვერ იქნებიან ქვეყნები, რომელთაც განსხვავებული საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტები აქვთ.

ევროკავშირის დაშლა, რასაც დიდმა ბრიტანეთმა დაუდო სათავე, ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვალია, და უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა - ეს „პუტინის ბრექსითი“ იყო, როგორც დასავლეთის პროპაგანდა ამტკიცებს, თუ ინგლისელებს ეს თვითგადარჩენის ინსტინქტმა უკარნახა. მენტალური შეუთავსებლობა და ეკონომიკური მიზანშეუწონლობა გვერდზეც რომ გადავდეთ, ევროკავშირი ისეთივე მოძველებული, მორალურად დრომოჭმული სტრუქტურაა, როგორც ნატო-სსრკ-ის და ვარშავის ბლოკის საწინააღმდეგოდ შექმნილი სამხედრო ალიანსი, რომლებიც უკვე დიდი ხანია, აღარ არსებობს.

ფორმულა - რუსეთთან მეგობრობა, ომის შეწყვეტა და ვაჭრობის დაწყება - პუტინმა იპაონიაში გამოიყენა, როცა შესთავაზა მას, რუსეთის მონინალმდეგიდან ერთბაშად სტრატეგიული პარტნიორი გამხდარიყო. ამით პუტინმა საქართველოს და მთელ მსოფლიოს სხვადასხვა მიზეზით წარმოშობილი და მხარეებს შორის შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდილი ტერიტორიული უთანხმოებების მშვიდობიანად მოგვარების უნივერსალური მოდელის პრეზენტაცია ჩაუტარა.

სოლო ტუპკი შესაძლებელია რუსეთსა და იპაონიას შორის იპაონიკური თანამშრომლობა კურილის კუნძულებზე - მასხადაში, მით უფრო შესაძლებელია რუსეთისა და სპანია ხელს აწერს სსრკ-სთან ერთობლივ ორმხრივ დეკლარაციას, რომლითაც არა მხოლოდ მთავრდება მათ შორის საომარი მდგომარეობა (როგორც მედვედევი-სარკოზის გეგმით რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის 12 აგვისტოს), არამედ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობაც აღდგენილია - მიუხედავად იმისა, რომ იპაონია კვლავინდებურად პრეტენზიას აცხადებს ოთხ კუნძულზე - იტურუპზე, კუნაშირზე, შიკოტანზე და ხაბომაის დაუსახლებელ მთავრებელზე (საქართველო, რო-

შეკრულების დადება, თუ ზემოთ ჩამოთვლილ კურილის კუნძულებზე რუსეთსა და იპაონიას შორის ეკონომიკური თანამშრომლობა დაიწყება, რომლის თაობაზეც პრეზიდენტი პუტინი და პრემიერი სინძო აბე შეთანხმდნენ, იმ პირობით, რომ იქ არ იქნება განთავსებული აშშ-ის სამხედრო ბაზები? ამას მიმავალი გვიჩვენებს, დღეს კი მთავარია, რომ 15-16 დეკემბერს, ბოლო 11 წლის განმავლობაში იპაონიაში პირველი ვიზიტის დროს, პუტინმა იპაონელებს ამ კუნძულებზე არა მხოლოდ ერთობლივი მეურნეობის წარმოება შესთავაზა, არამედ წინაპართა საფლავების მოსანახულებლად უვიზო რეჟიმის შემოღებაც (განა რა შეიძლება იყოს ქართველებისთვის იმაზე მტკიცებელი, ვიდრე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დარჩენილი ოჯახის წევრების და ახლობლების საფლავებისთვის პატივის მიცემის საშუალების უქონლობა?!)

მაშასადამე, ბიძინა ივანიშვილის მიერ დაწყებული რუსეთისა და საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის აღდგენა - სწორი გზაა რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დასადასტურებლად, რაც 2008 წლის 8-12 აგვისტოს ომის შემდეგ არ მოხდარა. ცხადია, იმ პირობით, რომ საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზები არ განთავსდება (სხვათა შორის, 1945 წლის შემდეგ დღემდე ხელმოწერილი არ არის სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიასა და რუსეთს, როგორც სსრკ-ის სამართალმემკვიდრეს შორის, რასაც მათი ეკონომიკური თანამშრომლობის და გერმანიის გაერთიანებისთვის ხელი არ შეუშლია).

იპაონისთვის შეთავაზებული პუტინის მოდელი ოფიციალური თბილისისათვის დღის წესრიგის მთავარი განსახილველი საკითხი უნდა გახდეს, რადგან ამ უნივერსალური ფორმულით ყველა მოგვებული დარჩება!

დღესვე აუცილებელია, გამოცხადდეს რუსეთ-საქართველო-აფხაზეთის და რუსეთ-საქართველო-სამხრეთ ოსეთის ერთობლივი ბიზნესპროექტების კონკურსი, რათა შემდგომში ისინი ყველა მხარემ განიხილოს, თანაც საკონკურსო კომისიას სათავეში უნდა ჩაუდგეს ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც რუსეთში კარგად იცნობენ.

რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის უსწრაფესად აღდგენის შემდეგ კი პუტინი საქართველოში უნდა მოვიწვიოთ, როგორც იპაონიამ მიიწვია, არსებული ტერიტორიული პრეტენზიების მიუხედავად. თანაც, ეს ყველაფერი დროზე უნდა მოვასწროთ, სანამ პუტინი პრეზიდენტია.

მერე ძალიან გვიან იქნება...
არნო ხიდირაბიშვილი,
„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი

პუტინის იპაონური მოდელი - მამაკალითი საქართველოსთვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთად



ქართველოს ეკონომიკური პარტნიორობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან.

ყურადღება მიაქციეთ: მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას კურილის არქიპელაგი სსრკ-ის შემადგენლობაში შევიდა (08.08.08 ხუთდღიანი ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის ფედერაციამ „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა“ ცნო). ამის მიუხედავად, 1956 წელს იპაონი

მელიც პრეტენზიას აცხადებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაზე, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას არ აპირებს).

1956 წლის ერთობლივ დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ თუკი სსრკ-სა და იპაონიას შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას მოეწერება ხელი, შიკოტანს და ხაბომაის კეთილი ნების შესტის სახით იპაონიას დაუბრუნებენ. შესაძლებელია თუ არა სამშვიდობო ხელ-

რუსმა ოკუპანტებმა 2008 წლიდან 2016 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით, 2 775 ქართველი დააკავეს



2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარა და დღემდე აკონტროლებს საქართველოს ამ ტერიტორიებს.

სუს-ის მონაცემების თანახმად, 2008 წლიდან 2016 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე რუსმა ოკუპანტებმა 1 788 პირი დააკავეს, ცხინვალის რეგიონთან - 987.

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები „პირველს“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მიანოდა.

რაც შეეხება წლების მიხედვით სტატისტიკას, ის შემდეგნაირად გამოიყურება:

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე ოკუპანტებმა 2008 წელს 13 ადამიანი დააკავეს, 2009 წელს - 91, 2010 წელს - 114, 2011 წელს - 84, 2012 წელს - 192, 2013 წელს - 393, 2014 - 370, 2015 წელს - 341, 2016 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით 190 ქართველი დააკავეს.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. საზღვარზე, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა 2008 წელს 7 ქართველი დააკავეს, 2009 წელს - 79, 2010 წელს - 77, 2011 წელს - 140, 2012 წელს - 108, 2013 წელს - 139, 2014 წელს - 142, 2015 წელს 163, 2016 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით - 132 ადამიანი დააკავეს.

უწყების ცნობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიების მიმართულებით იდენტიფიცირებული ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დაკავებულ პირთა რაოდენობაში ცდომილება მერყეობს 10-15%-ის ფარგლებში, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 5-10%-ის ფარგლებში.

კრიზისალი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მარნეულში ბიზნესმენის კარცას გეგმავენ

შინაბან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს და რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, მრავალჯერ ნასამართლავი სამი პირი - 1983 წელს დაბადებული ვ.კ., 1982 წელს დაბადებული ჯ.ბ. და 1972 წელს დაბადებული გ.მ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით დააკავეს.

ერთ-ერთი დაკავებულის ჩვენების შედეგად გაირკვა, რომ ბრალდებულები მარნეულში მცხოვრები ბიზნესმენის დაყარალებას გეგმავდნენ, რაც პოლიციის ოპერატიული ჩარევის შედეგად ვერ განახორციელეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები მარნეულში იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი „მერსედესის“ მარკის ტაქსით გადაადგილდებოდნენ. პოლიციამ დაკავებულების პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო კალაშნიკოვის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდოთა და 30 საბრძოლო ვაზნით, გადაჭრილი შაშხანა და გადაჭრილი თოფი, ხოლო აღნიშნული ავტომობილის ჩხრეკისას - ნიღბები, ხელთათმანები და ნებოვანი ლენტი.

ბარნოვის ქუჩაზე მშენებარე კორპუსიდან შუა ხნის მამაკაცი გადმოვარდა. მას ძლიერი ტრავმა თავის არეში აღენიშნება და სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რესპუბლიკურ სავადმყოფოში გადაიყვანა. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი აღნიშნულ ობიექტზე დასაქმებული არ ყოფილა.



თქვენთვის

ჯერ - დოკა, შემდეგ - ირანი

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 40-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა საქართველოს თასის გათამაშებაში.



ბიძინა ყუფარაძე და ნინო ხურციძე

ქალებში 5.5 ქულით ყველას საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ნინო ხურციძემ აჯობა.

ჭადრაკის სასახლეში საქართველოს თასის პარალელურად ქართველი დიდოსტატის ბუხუტი გურგენიძის მემორიალიც მოეწყო.

ამ დღეებში ნინო ხურციძე და გიგა ყუფარაძე ყატარის დედაქალაქ დოჰას მიაშურებენ, სადაც ქალ-ვაჟთა შორის 26-28 დეკემბერს რაპიდსა (სწრაფი ჭადრაკი) და 29-30 დეკემბერს ბლიცში (ელვისებური ჭადრაკი) მსოფლიოს ჩემპიონატები გაიმართება.

აკინი, ინდოელი ვიშვანათან ანანდი, ჩინელი მსოფლიო გრან-პრის გამარჯვებული ცზიუ ვენძიუნი, მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონები - რუსი ალექსანდრა კოსტინიუკი და ბულგარელი ანტონანეტა სტეფანოვა.

ნინო ხურციძე გაისად ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატშიც მიიღებს მონაწილეობას. ეს შეჯიბრება 10 თებერვლიდან 5 მარტამდე ირანის დედაქალაქ თეირანში ნავარაუდევია ნოკაუტ-სისტემით.

ნოკაუტ-სისტემით თეირანის მსოფლიოს ჩემპიონატში ქართველთაგან, ასევე, ითამაშებენ სალომე მეღია, ნანა ძაგნიძე, ნინო ბაციანი, ლელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი და სოფიკო გურამიშვილი, რომლებმაც ეს უფლება 2014 და 2015 წლების ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატებში მოიპოვეს.

ლავა დიდა

კალათბურთი

ზაზას საუკეთესო მატჩი



გუშინ „გოლდენ სტიმამ“ გასვლაზე „ბრუკლინი“ 117:101 დაამარცხა.

ზაზა ფაჩულიამ „გოლდენ სტიმის“ მაისურით ნბა-ში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

დაწყო და ამ დროში გუნდს 15 ქულა, 14 მოხსნა (7 - მეტოქის ფარზე), 4 პასი და 1 დაფარება შესძინა.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, რომ არა მისი ასეთი კარგი თამაში, ოკლენდელნი ვერ მოიგებდნენ.

ოკლენდელნი 26 მოგებით და 4 მარცხით დასავლეთ კონფერენციაში პირველ ადგილზე იმყოფებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

სამთო თხილამურები

იასონის ხუთი თურქული ოქრო

ბანისად თებერვალში შეეცარიული სანტ მორიცი მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.

კურტანიძემ დისტანცია ვერ ჩაამთავრეს.

გიგანტურ სლალომშიც ორივე (2.09,28 და 2.10,72) დღეს იასონ აბრამაშვილმა იყოჩალა - წინა დღეების მონაგარი ორი „ოქროთი“ გაიმდიდრა.

ასპარეზობის პირველ დღეს იასონმა სლალომში შეჯიბრება წუთსა და 52,59 წამში მოიგო და მეორე ადგილზე გასულ სერდარ დენიზს (თურქეთი) 6,12 წამით აჯობა.



ჩემპიონატის მეორე და მესამე დღეს სპორტსმენები ისევ სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ლეგიონერი



ძუთანიის „ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელი გუგა ფალავანდიშვილი კარიერას კვიპროსზე, კერძოდ, „ეთნიკოსში“ გააგრძელებს.

ფალავანდიშვილი - 3 წლით „ეთნიკოსში“

ბილი, 23 წლის ფეხბურთელი „ეთნიკოსთან“ სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

კონტრაქტში არსებული პირობის თანახმად, „ეთნიკოსს“ არ ექნება უფლება, უკეთესი შემოთავაზების შემთხვევაში ფეხბურთელი შეაფერხოს და ტრანსფერში ხელი შეუშალოს.

„ეთნიკოსი“ კვიპროსის ჩემპიონატში მე-9 ადგილზეა და მისი საუკეთესო ბომბარდირი ნიკა კაჭარავაა.

გუგა ფალავანდიშვილი ბოლოს „ტორპედოში“ გამოდიოდა, სადაც საქართველოს თასი მოიგო. მანამდე კი გორის „დილას“ რიგებში საქართველოს ჩემპიონიც გახდა.

გიორგი შოთაძე

ჩოგბურთი

კვიტოვა ზაფხულამდე დაისვენებს

უიბლდონის ორგზის ჩემპიონზე, ჩეს პეტრა კვიტოვაზე განხორციელებული ბანდიტური თავდასხმის შემდეგ პეტრას ხელზე მყესები დაუზიანდა, რის გამოც ოპერაცია დასჭირდა.



ჩესური მედიის ცნობით, კვიტოვას სამი თვე მძიმეების აწევა აევრძალა და სარეაბილიტაციო კურსს მინიმუმ ექვსი თვე დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩესს კორტზე დაახლოებით ივნისამდე ვერ ვიხილავთ.

პოპა კოპახიძე

ინტერნეტიდან

როგორც იცით, მთელი რიგი მიზეზების გამო რუს ჩოგბურთელ მარია შარაპოვას არც ისე კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა ჩვენი „ტკბილი“ მეზობელი ქვეყნის - რუსეთის ხელი-სუფლებასთან და მავანნი ამბობენ, ბოლო პერიოდში მარიას ცხოვრებასა და კარიერაში მომხდარი ცუდი ამბებიც სწორედ ამას უკავშირდება.

სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ რუსეთსა და მთელს საჩოგბურთო სამყაროში დაიწყო მოთქმა-მოთქმა იმასთან დაკავშირებით, მარია შარაპოვა საბოლოო ჯამში რომელი



ქვეყანასა და ქალაქში იპოვის ნავთსაყუდელს და იქნება თუ არა იგი დედა რუსეთის ერთგული შვილი.

მარია ამჟამად ძირითადად ლონდონსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და საქმესაც ისეთი პირი უჩანს, რომ ეს ქალი საბოლოო გადაწყვეტილებასაც ძალიან მარტივად დასავლეთის სასარგებლოდ მიიღებს.

როსტომ რაჭველიშვილი

წიქარას წაქცევა

„სიმბოლოს გზა არის არის, ვარდისფერ გზის გარდა“ – გვაშევიდებს გალაკტიონი და იმედს გვიტოვებს, რომ ამ გზას ასევე ვარდისფერისკენ, სინათლისკენ მივყავართ.

რუსლანის ბოლო გზა სწორედაც სინათლისკენ საგალი იყო. ეს მან დაიმსახურა მართალკაცობით, ეს მან მოემკო უდალათობით.

მართლაც წუთი ყოფილა წუთისოფელი. რა თვალის დახამხამებაში, რა დაუჯერებლად უცებ გაილია სიცოცხლე.

ბოლომდე არ სჯეროდა, რომ ასე მოულოდნელად და თავზარდამცემად იწურებოდა ჟამი საქაოს ყოფნისა.

მედგრად, კაცურად შეხვდა გარდაუვალს, როგორც ქეჩთაშლილი მგლებით გარშემორტყმული ხარი წიქარა. ბოლომდე იბრძოლა, ბოლომდე ჩხვერა უხილავი მტერი და მხოლოდ მაშინ ჩაიხილა, როცა რქა ჩამოეშალა და მუხლი დაუხებუნდა, გადაუტყდა, როცა სიცოცხლის ნიშატი ამოიწურა, როცა დარწმუნდა, ამას იყო რკენა და ჭიდილი.

რადაც ნიშნით თუ გრძნობდა, რომ ადრე მოუწევდა დამშვიდობება, სულ იმას ოცნებობდა, ნეტა, ბავშვები ფეხზე დამაყენებინათ.

მისი ბავშვები რა ხანია, მყარად დგანან ფეხზე, ის კი წაიქცა, დაღლილი, ნაჯაფი მამა.

არადა, რა დროს მისი სიკვდილი იყო, საბაბუოდ ემზადებოდა, შვილიშვილების სახელებს არჩევდა და ენიაზებოდა.

არ უწუწუნია, თავისი უბედობა და სატყვიარი სხვისთვის არ მოუხვევია თავზე, ერთი-ორჯერ მხოლოდ ეს ჩაილაპარაკა სენზე, საიდან გამომისტა ეს ოხერი და მტეი არაფერი. არა მოთქმა-გოდებით, არამედ სინანულ-ით, თავისთვის, რადგან ძნელია სიკვდილი 65 წლის ასაკში, როცა „სიცოცხლე ასე ნავარდობს“, როცა ყველაფერი მეტნაკლებად უკვე აწყობილი გაქვს და სიცოცხლის მტეი არაფერი გჭირდება.

მართლაც რა დროს მისი სიკვდილი იყო, მართლაც სად უყვლა იმ ოხერმა სენმა, სად წაახილა ეს დევივით კაცი. სამაგიეროდ, ადრე წასულს ისეთი სასული დარჩა, ოჯახისთვის დატოვებულ ნებისმიერ განძს გადაწონის, იმდენი და ისეთი წრფელი ცრემლი მიჰყვება, მის ჯალაბს გაუადვილებს გზასავალს, შეუმსუბუქებს სატარებელ ტვირთს.

ასეთი კაცები უკვდავად არ იკარგებიან... ის კვლავ ჩვენთან რჩება, მან მხოლოდ ერთად საგალი გზიდან გადაუსვია და თვალს მიეფარა.

ნიშანდობლივია მისი ბოლო სიტყვები, სულის ამოსვლის წინ დაზაფრულ მეუღლეს რომ უთხრა მარადისობისკენ მიმართული თვალებით: „ჩქარა მომიწერე სელი, ჩქარა გააღე კარი და გამიშვი, გამიშვი, გამიშვი!“

გაუშვა... „შვიდობით, ჯვარი გეწეროს, ესეც სამარის კარია!“

ალექს ასლანიშვილი



ფრიდონ ინჯია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას მისი პასუხისმგებელი რედაქტორის, დამსახურებული ჟურნალისტისა და კარგი ქართველის

რუსლან რუსიას

გარდაცვალების გამო.

ბადრი ბარკალაია ოჯახით იუწყება, რომ გარდაცვალება უახლოესი მეგობარი, უკეთილშობილესი პიროვნება, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელი რედაქტორი

რუსლან რუსია

და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.



საქართველოს ჟურნალისტიკა შემოქმედებითი კავშირი, ტელევიზია „ახალი საქართველო“, რადიო „საქართველოს ხმა“ და საინფორმაციო სააგენტო „ჯეონიუსი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ნიკო ნიკოლაძის, სერგი მესხისა და „ოქროს ფრთის“ პრემიების ლაურეატი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე

რუსლან რუსია

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს.

გამომცემლობა „ინტელექტი“ და გამომცემლობა „არტანუჯი“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, უკეთილშობილესი პიროვნება

რუსლან რუსია

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და კოლეგებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“.

დღესასწაული

საქართველოში წამოხვეული და ღირსი მამანი და დედანი



24 აპრილის საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ყველა იმ წმინდანს, რომლებიც საქართველოში ენამნენ.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიის ფურცლების გადახედვისას, ქართული აგიოგრაფიული ძეგლების გაცნობისას, გვხვდება აზრი, რომ ზეციური საქართველო განუზომლად დიდია.

უამრავი ქართველი ქრისტესთვის ენამა, ასევე ერისა და ეკლესიისთვის, მისი მომავლისთვის იბრძოდა.

...ქრისტიანთა ღვანლის აღწერა შეუძლებელია. ბევრმა ქართველმა მოიბანა მინიერი მნიველი ქრისტესთვის თავდადებით უსჯულოებთან ბრძოლისას, ასევე ძალიან ბევრმა განიწმინდა სული მონასტრის ცივ კედლებში ლოცვით, მარხვით და მოღვაწეობით. მხოლოდ ღმერთმა იცის ჩუმად მოღვაწე იმ ერისკაცთა და დედათა შესახებ, რომლებიც ჭედდნენ საქართველოს ეკლესიისა და ერის მომავალს.

აი, რა ბრძანა თავის დროზე წმინდა გიორგი მთაწმინდელმა: „რაჟამს ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არა სადა უარგვიყოფიეს და არცა ოდენ წვალებასა მიდრევილ არს ნათესავი ჩვენი“. სწორედ ამ შეუძლებლობის გამო წერია დღევანდელი, საღვთისმშობლის, 24 დეკემბრის მოსახსენებელში, რომ საქართველოში წამებულია და ღირსთა და მამათა და დედათა შორის უნდა ვიგულისხმოთ, ქართული ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი მამათა და დედათა ქართული წარმოშობის სახელი (ასეთი კი სამასამდეა!).

ტრადიციისამებრ, საზეიმო წირვის შემდეგ ამბიონიდან მღვდელმსახურნი ტაძარში მყოფთ ასე მიმართავენ: დღეს, 24 დეკემბერს, ყველა თქვენგანის დღესასწაულია (რა სახელსაც არ უნდა ვატარებდეთ!), ხოლო ჯვრის მთხვევისას მგალობელთა გუნდი ხანგრძლივად გალობს „მრავალჟამიერს“.

გიული ლიპარტიანი

ჩვენი ისტორიის საზოგადოებრივი ფურცელი

თბილისის, ანუ ქაბთაქვლი ომის უმეღებ მოთხელი საუკუნე გავიდა



საქართველოში შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალებიდან 25 წლის-თავთან დაკავშირებით 22 დეკემბერს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელმწიფოში შეიკრიბნენ კანონიერი უზენაესი საბჭოს და მთავრობის წევრები, ასევე ეროვნულ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები.

უზენაესი საბჭოს წევრებმა რობერტ პეტრიაშვილმა, იური ბურკაძემ, ნუგზარ შავთვალაძემ, ლადო ცოფურიშვილმა, ედიშერ ჯანჯულიამ და კანონიერი მთავრობის წარმომადგენელმა იგორ ჩხეიძემ ისაუბრეს 1991-1992 წლებში საქართველოში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებზე. აღინიშნა, რომ დღესთვის საქართველოში არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური

კრიზისიც არის. ოკუპირებულ ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მოსახლეობის უმრავლესობა სილატაკის ზღვარზეა.

საზგასმით აღინიშნა, რომ იმ ვალდებულებებს, რომლებიც 1990 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების დროს უზენაესმა საბჭომ აიღო ლუთისა და ხალხის წინაშე, არაფერს გაქცევია. ამიტომ დღესათვის არსებული მრავალი საჭიროებო პრობლემის გადასაწყვეტად აქტიური ქმედებებია საჭირო.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელმა, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრმა ეთერ მგალობიშვილმა მიმოიხილა განვლილი 25 წელი, ისაუბრა შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების უმძიმეს შედეგებზე, დღესათვის არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, აღინიშნა, რომ არსებული ჩიხიდან გამოსვლის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, სტაბილურობისა და ხალხის კეთილდღეობის მიღწევის ერთადერთი რეალური გზა კანონიერი ხელისუფლებისა და შეწყვეტილი კონსტიტუციის აღდგენაა.

შეკრებაზე დაისახა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელების კონკრეტული გზები.

ავთანდილ ზაქაური

